გეომეტრიული ფიგურები ჩვენ ირგვლივ

ავტორი: **ნათია უჩავა**

გეომეტრიული ფიგურები ჩვენ ირგვლივ ყველგან არის. მას ვხვდებით ქუჩაში, სახლში, საკვებშიც კი. მნიშვნელოვანია მოსწავლეებს პირველ რიგში მათი შემჩნევა ვასწავლოთ იმ გარემოში, სადაც არიან. თუ თქვენ კლასის წინაშე დადგებით და იკითხავთ, რომელ გეომეტრიულ ფიგურებს დაასახელებენ ისინი საკლასო ოთახში, რამდენიმე წამი სიჩუმე და დაკვირვება იქნება, შემდეგ კი მოისმენთ: ფანჯარა, დაფა, კარები, მერხი, რვეული, ნათურები და ა.შ.

გაგიზიარებთ ჩემს პრაქტიკულ მაგალითებს, რომელიც მათემატიკის გაკვეთილებზე განვახორციელე, კერძოდ კი მაშინ, როცა გეომეტრიულ ფიგურებზე მიდგა ჯერი.

1. **ინფორმაციის მიწოდება ვიდეოს სახით**

გეომეტრიულ ფიგურებზე მუშაობის დროს შევქმენი ვიდეო, სადაც აღწერილია სხვადასხვა ფიგურის ნიშან-თვისება. ასევე თვალსაჩინოების სახით გამოტანილია თითოეულის ფოტო. შეგიძლიათ აჩვენოთ მოსწავლეებს საინფორმაციო ვიდეო, რაც გაამდიდრებს თქვენს გაკვეთილს. **ვიდეო ,,ბრტყელი და სივრცითი გეომეტრიული ფიგურები“**, **ვიდეო N2**

1. **გეომეტრიული ფიგურები ჩვენ ირგვლივ**

წინასწარ მოამზადეთ გაკვეთილისთვის თვალსაჩინოებები, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ქალაქის, ქუჩისა თუ ღირსშესანიშნაობის ფოტოები. სთხოვეთ მოსწავლეებს დააკვირდნენ აღნიშნულს და თქვან, რომელ გეომეტრიულ ფიგურას ამსგავსებენ მათ. ყურადღება გაამახვილონ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე. ამ აქტივობით მოსწავლეებს არქიტექტურისა და ხელოვნების ნიმუშების, ყოფით საგნებში სივრცული ფიგურების ამოცნობის უნარებისა და სივრცული წარმოდგენების განვითარებას შეუწყობთ ხელს.



©განათლების e-სახლი

1. **სივრცითი ფიგურების შექმნა**



მას შემდეგ რაც მოსწავლეები გაეცნობიან სივრცით ფიგურებს, გააცნობიერებენ მათ ნიშან-თვისებებს, შეგიძლიათ მათთან ერთად შექმნათ ერთი სივრცული ფიგურა. მაგალითად, კუბი, რომელიც მარტივი შესაქმნელია. დაურიგეთ მოსწავლეებს ფურცლები, სადაც წინასწარ გექნებათ მისი ფორმა ამობეჭდილი და მათთან ერთად შეეცადეთ, შექმნათ კუბი.

ასე ასწავლით მოსწავლეებს სხვადასხვა სივრცითი ფიგურის მოდელის შექმნას.

დაწერეთ სივრცითი ფიგურის სახელები ფერად ფურცლებზე. სთხოვეთ მოსწავლეებს, ამოარჩიონ ერთი. რომელი ფიგურაც შეხვდებათ, მისი მოდელი შექმნან დამოუკიდებლად და შემდეგ გაკვეთილზე წარადგინონ მისი პრეზენტაცია.

©განათლების e-სახლი

1. **გეომეტრიული ფიგურები საკვებში**

როდესაც მოსწავლეებს შესწავლილი ჰქონდათ სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურა. მინდოდა მათ თავად შეექმნათ ისინი, განსხვავებით წინა დავალებისგან. მინდოდა, ახლა უფრო მეტი ორიგინალურობა და შემოქმედებითობა წამოსულიყო მათგან. ამიტომ შევთავაზე, რომ ნებისმიერი საკვებისგან შეექმნათ გეომეტრიული ფიგურა და თან დაერთოთ აღწერა. რა თვისებებით გამოირჩევა, რამდენი წვერო, გვერდი აქვს მათ შექმნილ ფიგურებს. მოსწავლეებისგან ძალიან საინტერესო ნამუშევრები მივიღე და ვფიქრობ, ცოდნის ტრანსფერიც შეძლეს.

ვფიქრობ, ეს აქტივობები დაგეხმარებათ გეომეტრიული ფიგურების უკეთ შესწავლასა და განმტკიცებაში.

©განათლების e-სახლი